Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№5,ივნისი, 2018

რეგიონიდან თბილისში ჩამოსული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციის გამოცდილება

მარი ცუცქირიძე, მიხეილ ოსიშვილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mishikoosishvili1@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა დედაქალაქში მდებარეობს, ამიტომ განათლების მსურველთა უმეტესობა თბილისში ჩამოდის. ჩამოსულ სტუდენტებს უწევთ ახალ გარემოსთან შეგუება, ქალაქურ ცხოვრებასთან ადაპტაცია, რაც გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვასსთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, კვლევის მიზანი გახლდათ, სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციის გამოცდილების, მათი თანატოლებთან ურთიერთობების შესწავლა; კვლევის ფარგლებში გვაინტერესებდა რამდენად აქტიურად მონაწილეობენ ჩამოსული სტუდენტები საუნივერსიტეტო აქტივობებში და როგორ არიან ჩართული სასწავლო პროცესში. საკვლევად მიზანშეწონილი იყო ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენება, რადგან მას გააჩნია სხვადასხვა ტექნიკური და შინაარსობრივი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა 13 სტუდენტი (6 ბიჭი და 7 გოგო). კვლევის მონაწილეების შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად და ისინი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები. ფოკუს ჯგუფის მეთოდიდან გამომდინარე, კვლევის ინსტრუმენტი იყო სადისკუსიო გეგმა, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ბლოკს: შესავალი კითხვები, ძირითადი კითხვები და ბოლოს მონაწილეთა რჩევები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ სტუდენტები მარტივად ადაპტირდებიან ახალ გარემოში, რესპონდენტებს არ აქვთ პრობლემები თანატოლებთან და ლექტორებთან ურთიერთობისას და მიიჩნევენ, რომ საზოგადოებამ პროვინციალიზმის პრობლემა გადალახა. სასწავლო პროცესში პრობლემები ექმნებათ ძირითადად გაუმართავი ტექნიკური ბაზისა და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო, რაც პრინციპში ყველა სტუდენტის პრობლემას წარმოადგენს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ

თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს, ძირითადად აქვთ სოციალური ინტეგრაციის დადებითი გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: ქალაქად ცხოვრება, სოციალიური ინტეგრაცია, საუნივერსიტეტო ცხოვრება, დისკრიმინაცია.

შესავალი

რეგიონებიდან თბილისში ჩამოსული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ქვეყანაში ძირითადი წამყვანი უნივერსიტეტები დედაქალაქშია თავმოყრილი და რეგიონებში ადამიანებს საშუალება არ აქვთ მიიღონ სასურველი განათლება, თბილისში ყოველწლიურად დიდი რაოდენობის სტუდენტი ჩამოდის. მათ უწევთ ახალ გარემოსთან შეგუება, ქალაქურ ცხოვრებასთან ადაპტაცია, ახალ ადამიანებთან ურთიერთობის დაწყება, ეს კი ნამდვილად არ არის მარტივი პროცესი და ბევრისთვის მტკივნეულად გადასატანია. რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების დიდი ნაწილი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. საინტერესოა ასევე სახელმწიფოს მხრიდან გადაგმული ნაბიჯები, რომლებიც მიმართულია მათთვის საცხოვრებელი პირობების შექმნისაკენ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ბოლო წლებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, მათ შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში გადაცემული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები.

ამ საკითხის აქტუალურობის მიუხედავად, თითქმის არ მოიძებნება ლიტერატურა არსებული პრობლემის შესახებ, მხოლოდ რამდენიმე კვლევაა ჩატარებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ. მათ შორისაა 2016 წელს ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევა, „თაობა გარდამავალ პერიოდში“,

რომელშიც საუბარია იმაზე, რომ ახალგაზრდები ქალაქად ძირითადად სასწავლებლად და უკეთესი მომავალის მოსაწყობად ჩამოდიან.

აქედან გამომდინარე, არსებულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების თბილისში ცხოვრების გამოცდილებაზე, რომელიც დაკავშირებულია როგორც დადებით, ისე უარყოფით ფაქტორებთან.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ახალგაზრდების ქვეყნის შიდა მიგრაციას ძირითადად განათლების მაღალი ხარისხი და ცხოვრების უკეთესი სტანდარტების ქვეყნის დედაქალაქში კონცენტრირება იწვევს , რასაც მოწმობს 2016 წელს ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევა. მათი ნაშრომში ,,თაობა გარდამავალ პერიოდში'' ვკითხულობთ, რომ ახალგაზრდების 1\3 (31 %) გამოთქვამს სურვილს, შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი (სოფლიდან გადავიდეს ქალაქში, უფრო მეტად კი დედაქალაქში) უკეთესი განათლებისა და ცხოვრების მაღალი სტანდარტების მისაღებად, ამავე კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 9% მიისწრაფვის ქალაქისკენ, რადგან იქ დამოუკიდებლობის გრძნობა უფრო მძაფრია (ომანიძე, გაჩეჩილაძე, ლებანიძე, ჩაჩანიძე, 2017).

აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების ქალაქში მიგრაციის თანმდევი და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ქალაქის სივრცეში ინდივიდის ქცევაზე. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სწორედ ამ პროცესში ხდება ქალაქური კონტაქტებისა და კავშირების ჩამოყალიბებულ სისტემაში ინდივიდის ჩართვა და კულტურიზაცია, ანუ ჯგუფში მიღებული მოდელის შეთვისება. XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ურბანისტი რობერტ რედფრიდი აღწერს მიგრანტის „ურბანიზების“, ანუ ურბანულ გარემოში ჩართვის ორ საფეხურს. პირველზე ხდება ფიზიკური შერწყმა (აბსორბცია) ქალაქის გარემოში, მეორეზე კი – ფსიქოლოგიური ცვლილებების ფორმირება, ანუ შეხედულებათა და დამოკიდებულების შეცვლა გარე სამყაროსთან მიმართებაში, ე.წ.

ემანსიპაცია. ორივე საფეხურის გადალახვის შემთხვევაში ხდება ინდივიდის სრული მიღება ახალ გარემოში (სულუხია, 2001).

ზემოხსენებული ნაშრომი ამყარებს იმ მოსაზრებასაც, რომ მიგრანტების ადაპტაცია ქალაქის გარემოსთან ,,ქვაბში დნობის'' პრინციპით ხდება, როდესაც მიგრანტი ნელ–ნელ აითქვიფება ქალაქის ჰეტეროგენულ გარემოში. დროის ფაქტორი პირდაპირპოროპორციულია ადაპტაციის ხარისხთან და წარმატებულობასთან. ურბანულ სივრცეში ცხოვრების ხანგრძლივობა განაპირობებს ინდივიდის მობილურობას ქალაქის სივრცეში, აუმჯობესებს მის სივრცით და საზოგადოებრივ ორიენტაციას, რასაც თავისთავად მოყვება კულტურული ადაპტაცია და ცხოვრების სტილის ქალაქური და ადგილობრივი მახასითებლების შედარებითი გაზიარება, გამომდინარე იქიდან ეს არის რურალური მიგრანტი, თუ მიგრანტი სხვა ეთნიკური ჯგუფიდან (სულუხია, 2001).

ქალაქურ ცხოვრებასთან ადაპტაციის გარდა, მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობა, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს როგორც დადებითი ფაქტორი მიგრაციის პროცესში, რადგან ემოციური მხარდაჭერა, ნდობა და თანამონაწილეობა მნიშვნელოვანია თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის განვითარებისთვის. ეს კი , თავის მხრივ, ეს ადამიანის ფსიქოლოგიაზე პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს, რაც მას ეხმარება ქალაქურ ცხოვრებასთან შეგუებაში. მეგობრობა მათ სთავაზობს როგორც ემოციურ და სოციალურ მხარდაჭერას, ასევე – ხელმძღვანელობასა და რჩევას, რომელიც ხელს უწყობს ჩამოსულ სტუდენტებსდაძლიონ და გადაჭრან პრობლემები (Fung, Sun, Yuen, 2014).

კახა ქეცბაიას ნაშრომი გვაძლევს საშუალებას, განვავითაროთ მოსაზრება, რომ სხვა ადამიანებთან ჩვენი ინტერაქციის, ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება სოციალური სინამდვილე. თავის მხრივ, სოციალური სტრუქტურაც გავლენას ახდნეს ურთიერთქმედებაზე. სწორედ ამიტომ, ავტორი მოიშველიებს ამერიკელი

სოციოლოგის ჩარლზ ჰორტონ კულის (Charles Horton Cooley) ნაშრომს, სადაც ის ახასიათებს პირველად და მეორეულ სოციალურ ჯგუფებს ურთიერთობების მიხედვით. მეორეული, ანუ არაპირდაპირი ურთიერთობა ახასიათებთ უცხოებს. მასში შედის ყველა იმ ურთიერთობის ფორმა, რომელიც გარკვეული სახის შეთანხმებასა და სხვა ნორმებზეა დამყარებული, ხოლო პირველად ჯგუფში ადამიანებს ერთმანეთთან აქვთ ახლო ურთიერთობები, მკვეთრი იდენტიფიკაცია ჯგუფთან, ძლიერი კავშირი ჯგუფის წევრებთან და ა.შ. ასეთი ურთიერთობები აგებულია მეგობრობასა და სიყვარულზე (ქეცბაია, 2016).

გარდა პირველად და მეორეულ ჯგუფებთან ურთიერთობისა აღსანიშნავია პედაგოგებიც, რომლებიც ჩამოსული სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ასრულებენ დიდ როლს. მათ სახლისა და სკოლის კულტურებს შორის ხიდის ფუნქცია აკისრიათ, რათა სტუდენტებმა პიროვნული უნარები განავითარონ, რაც მათ შემდგომ დაეხმარებათ უნივერსიტეტში გამოცდილების მიღებაში. აღქმა იმისა, რომ მასწავლებლებთან მზრუნველობითი და მხარდამჭერი ურთიერთობა აქვთ, უკავშირდება სასწავლებლის კმაყოფილებას. ჩამოსულ სტუდენტებთან მიმართებაში, რომელთაც ახალ კულტურაში დაუცველობის გრძნობა აქვთ, მასწავლებლებს აკისრიათ ფასეულობების გადაცემისა და სამომავლო მიღწევებისათვის მომზადების ფუნქცია. აშშ-ის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსაწავლეებისა და სტუდენტების სასწავლო დაწესებულებებით კმაყოფილება გამოწვეული იყო აკადემიური მხარდაჭერით, სტუდენტებისა და მასწავლებლების ურთიერთობით, სკოლის ჩართულობით, წესრიგით, დისციპლინითა და აკადემიური კმაყოფილებით (Fung, Sun, Yuen, 2014).

წიგნში ,,სოციოლოგია ყველასთვის" ვკითხულობთ, რომ გარკვეული სოციალური გამოცდილება აუცილებელია, იმისთვის, რომ ადამიანებმა კულტურული წესები

აითვისონ და თავი კომფორტულად იგრძნონ საზოგადოებაში. ადამიანი უამრავ ნორმას შორის აკეთებს არჩევანს: ზოგს იღებს, ზოგსაც კი უარყოფს (ქეცბაია, 2016).

ახალ კულტურაში ჩართვამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული საფრთხეები. სავარაუდოდ, ეს შესაძლოა იყოს სტრესული და შემაკავებელი გამოცდილებაც. ეს ყველაფერი დეტალურადაა განხილული ვარდის (Ward), ფურნამისა (Furnham) და ბოშნერის (Bochner) ნაშრომში ,,კლასიკური კულტურული შოკი'' (1986). ის განიხილავს ინტერკულტურულ კავშირებში ჩართულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს, მათ შორის ახალი კულტურის სპეციფიკური უნარ-ჩვევების სწავლებას, სტრესის მართვასა და უცხო გარემოსთან შეგუებას, კულტურული იდენტობის შეცვლას და კავშირების გაღრმავებას (Ward, Bochner, Furnham, 1986).

2. მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ რეგიონიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების სოციალური ინტეგრაციის გამოცდილება.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვყავით რამდენიმე ქვეკითხვა:

1. როგორ ურთიერთობენ თანატოლები რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებთან;
2. როგორ არიან საუნივერსიტეტო სოციალურ აქტივობებში ჩართული რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები;
3. როგორ არიან ჩართული რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები სასწავლო პროცესებში;

თემის უკეთ შესასწავლად შეირჩა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - ფოკუს ჯგუფი. მისი დადებითი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ მცირე დროში არსებული თემის შესახებ ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტის გამოკითხვისა და სიღრმისეული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებამ შეამსუბუქა მათთან სოციალური

დისტანცია, იქედან გამომდინარე, რომ აქ რესპონდენტი მარტო არ იყო და მასთან ერთად დისკუსიაში სხვებიც მონაწილეობდნენ. ეს, ერთი მხრივ, ხსნიდა დაძაბულობასა და ხელს უწყობდა საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. თუმცა, აღნიშნულ მეთოდს თავისი სუსტი მხარეებიც გააჩნია. ჩვენთვის, როგორც ახალბედა მკვლევრებისთვის, რთული იყო მოდერატორის ამპლუაში ყოფნა და წარმატებული მუშაობისთვის ხელის შეწყობა, რაც გულისხმობს ყველა რესპონდენტისთვის თანაბარი პირობების შექმნას. ფოკუს ჯგუფის ფარგლებში ძირითადი ინსტრუმენტი იყო სადისკუსიო გეგმა.

მონაწილეთა შერჩევა მოხდა მიზნობრივად ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან. ისინი იყვნენ ბაკალავრის საფეხურის სტუდენტები. ჩავატარეთ 2 ფოკუს ჯგუფი რაოდენობით 7 და 6 მონაწილე. მონაწილეთა შორის იყო 6 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. თითოეული ფოკუს-ჯგუფი გაგრძელედა დაახლოებით 1 საათსა და 10 წუთს.

შედეგების დამუშავების შედეგად გამოიყო რამდენიმე კატეგორია. მივიღეთ სულ 5 განსხვავებული თემატური ჯგუფი: 1) რეგიონიდან თბილისში ჩამოსვლის განმაპირობებელი ფაქტორები; 2) ქალაქურ ცხოვრებასთან შეგუება და მასთან დაკავშირებული პრობლემები; 3) ურთიერთობები თანატოლებთან; 4) სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები; 5) ურთიერთობები ლექტორებთან. რამდენიმე თემატურ ჯგუფში, რა თქმა უნდა, გამოიყო რესპონდენტების სხვადასხვა ტიპები. ამგვარი თემატური ჯგუფების გამოყოფით მონაცემთა დამუშავება ბევრად მოსახერხებელი გახდა.

კვლევის შეზღუდვებია ფოკუს ჯგუფების მცირე რაოდენობა, მონაწილეთა არაალბათური შერჩევა, რამაც განაპირობა ერთ–ერთი პრინციპის დარღვევა – მონაწილეთა ნაცნობობა. შესაბამისად კვლევის შედეგები მიგვანიშნებს ტენდენციებზე, რომელიც შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ტენდენციებისგან.

3. კვლევის შედეგები და ანალიზი

3.1 რეგიონიდან თბილისში ჩამოსვლის განმაპირობებელი ფაქტორები

რეგიონიდან თბილისში ჩამოსვლის განმაპირობებელი ფაქტორებზე საუბრისას, გამოიკვეთა რამდენიმე ტიპის სტუდენტი. პირველი, რომლისთვისაც მთავარი მოტივი იყო სწავლა და თბილისში არსებულ უნივერსიტეტში მოხვედრა, მისი დონისა და სწავლის ხარისხის გამო. ასეთმა აბიტურიენტებმა წინასწარ იცან, რა მდგომარეობაა მათ რეგიონსა და დედაქალაქში არსებულ უნივერსიტეტებში, ყურადღებას აქცევენ სწავლის ხარისხს, სასურველი ფაკულტეტის არსებობას, სოციალურ აქტივობებს და ყველა ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით აკეთებენ არჩევანს. დისკუსიისას ერთ–ერთმა სტუდენტმა შეადარა ბათუმისა და თბილისის უნივერსიტეტები, გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ მისთვის უფრო პრაქტიკული იქნებოდა იქ სწავლა, თუმცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაღალი ხარისხის სწავლების გამო მან ისევ თბილისში წამოსვლა არჩია. რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მისთვის რთული იყო მშობლებისგან მოშორებით ცხოვრება, თუმცა, თუ მისი მომავალი კარიერა აეწყობოდათბილისში და დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს, ის განშორების პრობლემას ბოლომდე დაძლევდა. ,,აქ უფრო დიდია შანსი იმისა, რომ მოხვდე პრესტიჟულ უნივერსიტეტში და უფრო მაღალი დონის განათლება მიიღო, რა თქმა უნდა, სწავლის განსხვავებული დონეა, როგორც სწავლების, ასევე – სტუდენტების'' (გვანცა). ასევე, გამოიკვეთა მეორე ტიპის მონაწილეები, რომელთათვისაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სწავლამ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა. მათთვის ყველაზე მთავარი აღმოჩნდა გარემო, რომელიც თითქმის ყველა ასპექტით განსხვავდებოდა რეგიონის ცხოვრებისგან, რადგან მათივე თქმით, ისინი ყოველდღე ხედავენ ერთსა და იმავესახეებს, რეგიონში ახალი არაფერი ხდება ქალაქური ცხოვრებისგან განსხვავებით, სადაც შესაძლებელია მრავალ აქტივობაში ჩართვა, ახალი სამეგობრო წრის გაჩენა და უფრო აქტიური ცხოვრების დაწყება.

„ჩემთვის ყველაზე მთავარი მიზეზი არის ახალი გარემო, ანუ თავისუფლების რაღაც მაღალი ხარისხი, ვიდრე მქონდა ქუთაისში. ეს იყო პირველ რიგში ალბათ, და შემდეგ უნივერსიტეტში სწავლა. ჩემი აკადემიური მოსწრების გამო, რადგან კარგი მქონდა იქ, შევეცადეთ და ჩემი ოჯახიც შეეცადა, რომ [სწავლა] გაგრძელებულიყო ამ ქალაქში“ (ბესო).

ამ საკითხზე ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში: ,,ცხოვრება გარდამავალ პერიოდში”, რომელიც ეხმიანება ჩვენს კვლევას, ვკითხულობთ, რომსწორედ განათლების მაღალი ხარისხი და ცხოვრების უკეთესი სტანდარტებია ძირითადი მიზეზები ახალგაზრდების შიდა მიგრაციისა. ეს მტკიცდება იმით, რომ იმ ახალგაზრდების ხვედრითი წილი, რომლებსაც განათლების მისაღებად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად სურს რეგიონიდან ქალაქში ჩამოსვლა, არის მთლიანი ახალგაზრდების 31%, ხოლო მათი 9% ქალაქში წასვლას უკავშირებს პირადი დამოუკიდებლობის გრძნობის გაზრდას. (ომანიძე, გაჩეჩილაძე, ლებანიძე, ჩაჩანიძე, 2017)

ერთ-ერთმა სტუდენტმა წამოჭრა ახალი პრობლემა, რომელიც ეხებოდა რეგიონებისა და სოფლების დაცარიელებას, რომელსაც სხვა მონაწილეებიც დაეთანხმნენ. ,,რომ არა სწავლა ალბათ დავრჩებოდი იქ, სადაც ვიყავი და ძალიან დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი ცხოვრებას იქ. არანაირ ვარიანტში არ ჩამოვიდოდი იმიტომ, რომ რეგიონების ისედაც დაცარიელების პრობლემასთან გვაქ საქმე და მე არ დავამატებდი ამ პრობლემას ჩემსას'' (ნინო).

ბოლოს, გამოიკვეთა მესამე ტიპის მონაწილე, რომელიც ყველა სხვა სტუდენტისგან განსხვავებული მოტივით ჩამოვიდა თბილისში და აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). იგი თავის რეგიონში კომფორტულად გრძნობდა თავს, აქტიური ცხოვრებითაც ცხოვრობდა, ასევე, აღნიშნავს, რომ ნებისმიერ უნივერსიტეტში შეეძლო მოხვედრა, თუმცა მისი მთავარი მიზანი იყო ზემოხსენებულ უნივერსიტეტში სწავლა,

რაც განაპირობა სურვილმა, გამხდარიყო იმ უნივერსიტეტის ნაწილი, რომელიც ატარებდა დიდებული და საქართველოს დამსახურებული მოღვაწეების სახელს. ამგავრი გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, შესაძლოა აიხნას იმითაც, რომ იგი კარგად იცნობს უნივერსიტეტისა და მისი დამაარსებლების ისტორიას და სურს მათ მსგავსად წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში.

> *„ჩემი გზა, ალბათ, ყველასგან განსხვავებულია იმიტომ, რომ ერთადერთი მიზანი, რაც მამოძრავებდა ის იყო, რომ ამ უნივერსიტეტში ჩამებარებინა. იმიტომ, რომ ეს უნივერსიტეტი ატარებდა ჯავახიშვილის სახელს და, მერეც მეორე, აქ ისეთი ხალხი სწავლობდა, რომ მინდოდა, მეც ესე ''მანია ველიჩიე'', როგორც იტყვიან, ამ ლოგიკით მეც ამ უნივერსიტეტში ვყოფილიყავი და ეს უნივერსიტეტი დამემთავრებინა, მხოლოდ ამიტომ გადავწყვიტე [აქ სწავლა]''* (ბაქარი).

რომ შევაჯამოთ, სწავლა ესაა ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რის გამოც უღირთ სტუდენტებს თბილისში ჩამოსვლა და სხვა მათთვის არასასურველ მდგომარეობასთან შეგუება. გარდა ამისა, რეგიონებიდან წამოსვლის მიზეზი არის ასევე, დამოუკიდებლად, ოჯახის გარეშე, ცხოვრების სურვილი და ახალ გარემოში მოხვედრა, რაც მათთვის უფრო მრავალფეროვანია. დედაქალაქი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს შეიცვალონ ცხოვრების სტილი და უფრო აქტიური გახდონ ის. საყურადღებოა უნივერსიტეტის სტატუსიც, რომელიც მათ უბიძგებს თბილისში წამოსვლისაკენ.

4. ქალაქურ ცხოვრებასთან შეგუება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე საუბრისას მონაწილეები ორ ნაწილად დაიყვნენ. მონაწილეების უმრავლესობას თბილისში ინტეგრაციის პრობლემა არ შექმნია , ხოლო მეორე ნაწილს, გარკვეული მიზეზებისა და გარემოებების გამო გაუჭირდა

თბილისში ცხოვრება. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მონაწილისთვის იმ მიზეზის გამო, რომ თბილისთან ბავშვობაშიც ჰქონია კავშირი და მათი ნათესავებიც აქ ცხოვრობდნენ, თბილისურ რიტმზე გადმოწყობა. ,,სულ არ ყოფილა რთული. პატარაობაშიც ხშირად დავდიოდი თბილისში, იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ნათესავი მყავს თბილისში და სიახლე არ ყოფილა, რადგან, სანამ სტუდენტი გავხდებოდი იქამდეც კარგად ვიცნობდი თბილისს'' (ნიკა). ნოსტალგიები, რომლებიც მათ მშობლიურ მხარეს ახსენებს, უმრავლესობას არ აწუხებს, რადგან ისინი კარგად ადაპტირდნენ თბილისში, ახალ ურთიერთობებში ჩაებნენ, მეგობრების წრე გააფართოვეს და ის გრძნობა, რასაც მშობლიური გარემოს მონატრება ჰქვია, მარტივად გადალახეს:

> *„თბილისთან არ გამიჭირდა შეგუება, გამომდინარე იქიდან, რომ დედაჩემი მუშაობს თბილისში უკვე დიდი ხანია. ანუ აქ მყავდა ერთი ოჯახის წევრი, ასევე ჩემი ძმაც სწავლობდა უკვე თბილისში. კი მენატრება ჩემი მხარე, მაგრამ არა იმდენად, რომ ძალიან დიდი ნოსტალგიები მქონდეს. ერთი ჩასვლაც მყოფნის იმისთვის, რომ ეს მოთხოვნილება დავიკმაყოფილო''*(მზიკო).

იმ შემთხვევის დასამოწმებლად, რომ ქალაქთან სიახლოვე და მასთან ხშირი კავშირი, ასევე ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინტეგრაციისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ–ერთი ნაშრომი, სადაც საუბარია, რომ ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობა უდიდეს გავლენას ახდენს ქალაქის სივრცეში ინდივიდის ქცევაზე. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სწორედ ამ პროცესში ხდება ქალაქური კონტაქტებისა და კავშირების ჩამოყალიბებულ სისტემაში ინდივიდის ჩართვა და კულტურიზაცია, ანუ ჯგუფში მიღებული მოდელის შეთვისება. როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ, გამოჩენილი ურბანისტი რობერტ რედფრიდი გამოყოფს ორ ეტაპს იმისა, თუ როგორ ხორციელდება ურბანულ გარემოში ჩართვა. თავდაპირველად ადამიანი ქალაქურ გარემოს ფიზიკურად

ერწყმის, შემდეგ კი იცვლება მისი ფსიქოლოგია, რაც აისახება შეხედულებებისა და დამოკიდებულებების ცვლილებაში. სწორედ ამ ყველაფრის მერე ხდება ინდივიდი ახალი გარემოს სრულუფლებიანი წევრი.

რამდენიმე მონაწილემ, ვისაც იშვიათი კავშირი ჰქონდათ თბილისთან, აღნიშნა, რომ ისინი საერთოდ არ ფიქრობდნენ თბილისზე და მითუმეტეს მასთან შეგუებაზე. ზედმეტი ფიქრისგან არ იტვირთავდნენ თავს და ამ მოვლენას აღწერდნენ, როგორც მათი ცხოვრების ახალ ეტაპს, როდესაც იცვლება გარემო, ურთიერთობები და ცვლილებების ხანა დგება. მიუხედავად იმისა, რომ არ ჰყოლიათ თბილისში ნათესავები, ნაცნობები, მეგობრები, მათ არ აღელვებდათ ეს ფაქტი. ,,საერთოდ არ მიფიქრია, იმაზე, რომ რთული იქნებოდა თბილისში ცხოვრება ან ფსიქოლოგიურად უნდა მოვმზადებულიყავი. ისე ვუყურებდი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც ეტაპი დამთავრდა და იწყებოდა ახალი ეტაპი'' (თათია).

ამ მხრივ აღსანიშნავია, კახა ქეცბაიას წიგნში „სოციოლოგია ყველასთვის" გამოთქმული აზრი, იმის შესახებ, რომ ადამიანებისთვის აუცილებელია სოციალური გამოცდილება. ეს მათ ეხმარება საზოგადოებაში კომფორტულად ცხოვრებაში. გარდა ამისა, სწორედ ინდივიდი იღებს გადაწყვეტილებას რომელი ნორმა უარყოს და რომელი მიიღოს. ამგვარად იგი ერწყმის ახალ სოციუმს და იძენს კულტურულ წესებს (ქეცბაია, 2016). სწორედ იმიტომ, რომ რესპონდენტებს ჰქონდათ გარკვეული სახის სოციალური გამოცდილება, მათ არ გასჭირვებიათ ახალ გარემოსთან შეგუება.

ადაპტაცია გაუჭირდა რამდენიმე მონაწილეს, რაც სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა, როგორიცაა მშობლებისგან მოშორებით გადასვლა, დამოუკიდებლად ცხოვრება, უცხო გარემოში მოხვედრა.

ერთ–ერთი ხაზს უსვამს, რომ თბილისში ცხოვრება არაა პრესტიჟი და თბილისელები სხვა ჩამოსულ სტუდენტებზე მეტი არაფრით არიან. ასე რომ, ალტერნატიული არჩევნის არსებობის შემთხვევაში, იგი დარჩებოდა მშობლიურ

რეგიონში. ამგვარი დაყოფა ვფიქრობთ, განაპირობა როგორც საზოგადოებაში არსებულმა სტერეოტიპებმა, რომლის მიხედვითაც ქალაქში მცხოვრებლები რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს თანასწორად არ მიიჩნევენ და სხვადასხვა სახის სტიგმას აკრავენ, მოიხსენიებენ დისკრიმინაციული ტერმინებით. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს პრობლემა ნელ–ნელა გადაილახა, თუმცა ამ კონკრეტულ სტუდენტის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მასზე გავლენა იქონია როგორც წარსულის გამოცდილებამ, ისე სტერეოტიპებმა.

> *„ჩემთვის პირადად, მოდით, პირდაპირ ვიტყვი, რომ რთული იყო, იქიდან გამომდინარე, რომ მე რომ არჩევანის უფლება და საშუალება მქონოდა, არ ავირჩევდი თბილისში გადმოსვლას არანაირ ვარიანტში. რაღაცნაირად დაცლილია ადამიანური ურთიერთობებისგან ის გარემო, რომელშიც მე გადმოვედი და მიჭირს შეგუება ამ ადამიანური კუთხით. ზოგადად ადაპტაციის პრობლემა არასდროს არ მქონია, მაგრამ, მაინც ყველაზე დიდი განსხვავება რეგიონებსა და ქალაქს შორის, მე, მაინც ადამიანური ურთიერთობები მგონია და ეს მიქმნის ყველაზე დიდ პრობლემებს"* (ნინო).

მონაწილის ამგვარი უარყოფითი განწყობის ასახსნელად მოვიშველიებთ ერთ–ერთ ნაშრომს, სადაც საუბარია იმ მიზეზებზე, თუ, რატომ ვერ ადაპტირდება ინდივიდი მოცემულ გარემოში. ნაშრომში ნათქვამია, რომ ინდივიდი-გარემოს ინტეგრაცია მეტად არის დამოკიდებული ინდივიდის მიერ გარემოს აღქმაზე. ამ საკითხის კვლევის შედეგად ამერიკელმა მეცნიერმა ქევინ ლინჩმა (Kevin Lynch) შეიმუშავა მსოფლიოში ცნობილი თეორია მენტალური რუკების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით ქალაქი შედგება მრავალი ცალკეული ადგილებისაგან და მათგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებათა ჯამი ქმნის ინდივიდისათვის გარემოს ხატს - მენტალურ სურათს ანუ გარემოს კონკრეტულ ხატს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოში აქ იგულისხმება არა

მხოლოდ ფიზიკური გარემო, არამედ მისი ფუნქციიდან გამომდინარე სოციალური დატვირთვაც, ანუ მასში მიმდინარე პროცესებიც. სწორედ ამ კონტექსტში გამოიმუშავებს ინდივიდი კონკრეტულ ემოციას გარემოსთან მიმართებაში. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ეს ემოცია განსხვავებულია დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, რასაზე, სოციალლურ ჯგუფზე და სხვა მახასიათებლებზე. ამ მახასიათებლებს მიეკუთვნება კონკრეტული ადგილისადმი ინდივიდის მოლოდინები, დროის ფაქტორი, სხვადასხვა სოციალური და ფსოქოლოგიური დატვირთვა (სულუხია, 2001).

საბოლოოდ, მონაწილეები რეგიონიდან ჩამოსვლას განიხილავენ როგორც ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას. მათი აზრით, აუცილებელია ქალაქურ ცხოვრებაში ჩაბმა, ვინაიდან თითოეული მათგანი ამ საზოგადოების წევრი გახდა, ამიტომ მის რუტინულ ყოფას უნდა შეეგუონ. მიუხედავად ნოსტალგიებისა, მონაწილეები საკუთარ კარიერას უფრო წინა პლანზე აყენებენ, ამიტომ ისინი ცდილობენ ადაპტირდნენ ქალაქურ ცხოვრებაში.

დისკუსიის ფარგლებში მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ბევრ იმედგაცრუებას წააყწყდნენ ქალაქში. ძირითადად გამოიყო ინფრასტრუქურა, როგორც ქალაქის, ასევე უნივერსიტეტის და გადაადგილების პრობლემა, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, მხიარულად იხსენებენ: ,,პირველად დიდად არ მოვიხიბლე თბილისით. უკეთესს ველოდი. თსუ–ს და ზოგადად თბილისის ინფრასტრუქტურამ გამიცრუა იმედები. კულტურული შოკი მქონდა, როცა მეექვსე კორპუსში შევედი დასარეგისტრირებლად''(გვანცა). როდესაც მონაწილეები აღწერდნენ მათი ჩამოსვლის ეპიზოდს, თითქმის ყველამ გაამახვილა ყურადღება თსუ–ს კორპუსებზე, განსაკუთებით მაღლივსა და მე–6 კორპუსზე, სადაც უწევდათ რეგისტრაცია: ,,პირველი იმედგაცრუება ის იყო, რომ პირველად პირველ კოპუსში შევედი და იურისტების მეგონა და, რომ მითხრეს გვერდზე გადადიო და იქაური სიტუაცია ვნახე, მიხვდი, რომ მთლად ისეთი არ იყო, როგორც თავიდან ამბობდნენ'' (რაფიელი).

სტუდენტები საუბრობდნენ, რომ ხშირი იყო ფაქტები, როცა ტაქსისტები და ბინის მეპატრონეები ატყუებდნენ. ,,თავიდან სხვაგვარი იმდეგაცრუება შემხვდა, მაგალითად, მატყუარა ტაქსისტებისგან. სადგურიდან უნივერსიტეტამდე 10 ლარი გამომართვა'' (რაფიელი).

იმ სირთულეების ასახსნელად, რომელიც ახალ კულტურაში ჩართვას უკავშირდება, როგორც უკვე ლიტერატურის მიმოხილვაში ვახსენეთ, პარალელს გავავლებთ ვარდის (Ward), ფურნამისა (Furnham) და ბოშნერის (Bochner) ნაშრომთან ,,კლასიკური კულტურული შოკი'' (1986). ისინი აღნიშნავენ, რომ ახალ გარემოში მოხვედრა იწვევს გარკვეულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს. ადამიანები ამ დროს იცვლიან საკუთარ იდენტობას და იძენენ ახალ ჩვევებს. ეს კი გარკვეულწილად დაკავშირებულია სიძნელეებთან რაც მათ სტრესულ სიტუაციაში აგდებს (Ward, Bochner, Furnham, 1986).

ამ ნაშრომის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ სტუდენტები, რომლებიც იცვლიან საცხოვრებელ გარემოს, მათში კულტურულ შოკს იწვევს უცხო სოციალური პროცესები, რომელიც მათ წარმოედგინათ უფრო უკეთესად, თუმცა რეალობამ მათზე სტრესული ზემოქმედება მოახდინა, რაც გამოიხატა ე.წ კულტურული შოკით.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისისა და სასწავლო გარემოს ინფრასტრუქტურამ პირიქით, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ერთ–ერთ მონაწილეზე. მისივე თქმით, თბილისში ჩამოსვლამდე თავს იტეხდა იმაზე ფიქრით, როგორ შეეგუებოდა აქაურობას, თუმცა მისდა გასაოცრად ყველაფერი კარგად აეწყო.

> *„მე უკურეაქცია მქონდა. იმიტომ, რომ უფრო ცუდად მქონდა ყველაფერი წარმოდგენილი და უფრო კარგი სიტუაცია დამხვდა. მთელი აბიტურიენტობის პერიოდი ჩავიშხამე იმაზე ფიქრით, რომ უნდა შევიცვალო გარემო და რა წავა თბილისში. რომ ჩამოვედი რეალურად მივხვდი, რომ ხალხი არაა ასეთი განსხვავებული, როგორიც წარმოუდგენიათ რაიონებში. ეს არ არის უსაფუძვლო სტერეოტიპი, რომ*

თბილისში უფრო კარგი დონეა ცხოვრების, ვიდრე სხვა ქალაქებში. ვფიქრობ, რომ, მაინც, სადაც მიდის ძირითადი მოვლენები, სადაც მართლა ძირითადად ცხოვრება ჩქეფს, იქ ჯობია იყო და იმას აუწყო ფეხი'' (ანა).

ამ სურათის უკეთ წარმოსაჩენად, ადამიანების ადაპტაცია ქალაქის გარემოსთან შედარებულია „ქვაბში დნობის" პროცესთან, რომლის თანახმადაც ინდივიდი ნელ-ნელა ერწყმის ქალაქურ გარემოს. ეს კი დაკავშირებულია დროის ფაქტორთან. რაც უფრო დიდი დრო იხარჯება ამისთვის, მით უფრო ადაპტირდება ის ქალაქურ ცხოვრებასთან და იძენს გამოცდილებას (სულუხია, 2001).

რომ შევაჯამოთ, მონაწილეების მიერ გამოყოფილ საკითხებს, რომლებიც უკავშირდებოდა ქალაქში არსებულ პრობლემებს, არ შეუშლია ხელი სწავლისთვის. პირველადი შთაბეჭდილებები სახარბიელო არ ყოფილა, მაგრამ აღნიშნეს, რომ, მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, ეს უნივერსიტეტი და ეს ქალაქი უყვართ და მისი ცოცხალი ცხოვრების რიტმს მიჰყვებიან.

5. ურთიერთობები თანატოლებთან

თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემა სტუდენტების უმრავლესობას არ ქონია, მაგრამ ზოგიერთი იხსენებს შემთხვევებს, სადაც დისკრიმინაციული ხასიათი გამომჟღავნდა კუთხური მიკუთვნებულობის გამო, ამიტომ პროცესის მსვლელობისას გამოიკვეთა ორი სახის რესპონდენტი: 1) სტუდენტები,რომლებსაც არ ჰქონიათ არასდროს პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობისას; 2)სტუდენტები რომლებსაც ჰქონიათ გარკვეული პრობლემები; მიუხედავად იმისა, ჰქონიათ თუ არა მათ ამ კუთხით გამოცდილება, რამდენიმე სტუდენტს უნახავს დისკრიმინაციის ფაქტები კუთხური წარმომავლობის გამო: „აი, მაგალითად, ლექციაზე ან სემინარზე გამოთქვამს

მოსაზრებას სტუდენტი და აქვს მეგრული კილო და, როდესაც შენ ამაზე იცინი, რაღაც დემონსტრაციულად, მე დაცინვის მომენტი მგონია“ (ნინო).

თანატოლებთან ურთიერთობა შესაძლოა ჩაითვალოს, როგორც დამცველი ფაქტორი მიგრაციის პროცესში, რადგან ემოციური მხარდაჭერა, ნდობა და თანამონაწილეობა მნიშვნელოვანია თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის განვითარებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პოზიტიურ ფსიქოლოგიურ შეგუებადობას სხვადასხვა განვითარებად კონტექსტში. მეგობრობა მათ სთავაზობს როგორც ემოციურ და სოციალურ მხარდაჭერას, ასევე ხელმძღვანელობასა და რჩევას, რომელიც ხელს უწყობს ჩამოსულ სტუდენტებს, რომ დაძლიონ და გადაჭრან პრობლემები (Fung, Sun, Yuen, 2014).

გამოიკვეთა, რომ იმ სტუდენტებს, რომლებიც მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან, პრობლემები ჰქონდათ ძირითადად კუთხური აქცენტისადა წარმომავლობის გამო.

> *„ჩემი კუთხური წარმომავლობიდან გამომდინარე, ასე ვთქვათ, წამოვიდა სიტყვა აფერისტი და არ მენდობოდნენ, სანამ ფაქტებს არ გადაამოწმებდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ ესე ვთქვათ, ბრჭყალებში უწყინარი მეგრელი ვარ და ბევრი ტყუილი არ ვიცი. მერე თქვეს, რომ არ არის საშიში ეს პიროვნება“*(ბაქარი).

ერთ-ერთ რესპონდენტს თანატოლებთან ურთიერთობის არანაირი პრობლემა არ ჰქონია აქცენტის გამო, მაგრამ მის სამსახურში გაამახვილეს ამაზე ყურადღება.

ახალ გარემოში სტუდენტთა დისკრიმინაციული გამოცდილება, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს უამრავი სტერეოტიპი კუთხური წარმომავლობის შესახებ, რომლის მოშორებაც გარკვეულ დროს მოითხოვს და ეს ისევ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ასევე, დიდ როლს ასრულებს საზოგადოების განათლების დონე, რადგან განათლებული ადამიანის

დაცინვის ობიექტი არასოდეს გახდება რომელიმე ინდივიდი, მით უმეტეს, რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტი.

რესპონდენტები, რომლებიც პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან აღნიშნავენ, რომ არასდროს ჰქონიათ პრობლემები თანატოლებთან, პირიქით ძალიან გაუმართლათ მეგობრებში და ბევრ რამეში ეხმარებიან. ასევე, გამოიკვეთა, რომ რამდენიმე რესპონდენტი მეგობრებს საერთო ინტერესებისა და შეხედულებების მიხედვითაც ირჩევს: ,,ვცდილობ ისეთი ადამიანებთან დავიჭირო ურთიერთობა, ვისთანაც საერთო ინტერესები მაქვს, საერთო შეხედულებები" (მზიკო). აღნიშნეს, რომ საჭიროა ისეთი პოზიციის დაჭერა, რომ ვიღაცას თავი მათზე მეტი ან ნაკლები არ ეგონოს და არ მისცენ უფლება ზევიდან უყურონ მათ; ასეთ შემთხვევაში ყველაფერი უფრო მარტივი იქნება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას ახასიათებს პირველადი ურთიერთობები ერთმანეთთან. ამერიკელი სოციოლოგის კულის (Cooly) მიხედვით, პირველადია ის ჯგუფები, რომელთაც ახასიათებს მუდმივი უშუალო ურთიერთობები, მკვეთრი იდენტიფიკაცია ჯგუფთან, ძლიერი კავშირი ჯგუფის წევრებთან და ა.შ. ასეთი ურთიერთობები აგებულია მეგობრობასა და სიყვარულზე (ქეცბაია, 2016). შესაბამისად, ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობას თანატოლებთან აქვთ მეგობრობასა და სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობები და ხშირად სამეგობრო წრეს საერთო ინტერესებითა და შეხედულებებით ქმნიან.

ერთ შემთხვევაში გამოიკვეთა აზრი, რომ სტუდენტები უნდა მოერგონ მეინსტრიმულ კულტურას. თუმცა, ამის საპირისპიროდ რესპონდენტებმა დააფიქსირეს, რომ არ არის საჭირო ბევრი ვარჯიში საკუთარ თავთან იმისთვის, რომ საზოგადოების ნაწილი გახდე, რომ არ უნდა მიაქციო ყველაფერს ყურადღება. „სტუდენტებისგან იყო, ხუმრობანარევიც და შეურაცხმყოფელიც, მაგრამ ყველა ძაღლს რომ ქვა ესროლო, სახლამდე ვერ მიხვალ" (ბაქარი). „ადამიანი უნდა იყო როგორიც ხარ და საზოგადოებამ უნდა მიგიღოს როგორიც ხარ, რაღაც სტიგმების მიკერებას არ უნდა

ცდილობდეს საზოგადოება“(თამუნა). უმრავლესობამ დააფიქსირა აზრი რომ, პროვინციალიზმის პრობლემა საზოგადოებამ ასე თუ ისე გადალახა. ფიქრობენ, რომ კუთხური წარმომავლობის გამო ისინი არანაირად არ განსხვავდებიან თბილისელებისგან: „უკვე აღარაა ჩამოსულობა და პროვინციალობა სტიგმა. ეს პრობლემა ქართულმა საზოგადოებამ გადალახა“ (ბესო).

ჩარლზ ჰორტონ კულის (Charles Horton Cooly) თეორიის მიხედვით, სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია ის, თუ რა წარმოდგენა აქვთ სხვებს ჩვენზე. ამის შესაბამისად ვაყალიბებთ ჩვენს ქცევებს. ჩვენი აზრით საზოგადოება და მისი წევრები გავლენას ახდენენ ჩვენს ქცევებზე, ხშირად ისე მოქმედებენ ადამიანები, რომ საზოგადოების მოლოდინები გაამართლონ, ჩვენი ზოგიერთი რესპონდენტიც ამის მიხედვით იქცევა, ცდილობს ფეხი აუწყოს მეინსტრიმულ კულტურას მიუხედავად იმისა თუ რამდენად მოსწონს ესა თუ ის კონკრეტული ქცევა მას. იმ შედეგის განსამტკიცებლად, რომელიც რესპონდენტთა უმრავლესობამ დააფიქსირა, მოვიყვანთ ზიმელის სიტყვებს: ,,ურთიერთობათა სამყარო-ეს არის თამაში, რომლის ყოველი მოთამაშე თანასწორია და, რომელშიც ყველა მოთამაშე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს”. (ქეცბაია, 2016:133). სტუდენტთა უმრავლესობამ სწორედ ის აღნიშნა, რომ არა აქვს მნიშვნელობა ვინ ხარ და საიდან ხარ, საზოგადოებამ ისეთი უნდა მიგიღოს, როგორიც ხარ.

რომ შევაჯამოთ, რესპონდენტთა უმრავლესობას არ ჰქონია პრობლემები თანატოლებთან, პირიქით,მათთან ღია და კარგი ურთიერთობა აქვთ. თუმცა, ასევე არიან რესპონდენტებიც, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ კუთხური მეტყველების ან წარმომავლობის გამო, რაც მათ ასე თუ ისე მოაგვარეს. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დღეს საზოგადოებაში არ დგას პროვინციალიზმის პრობლემა.

კვლევაში ,,ცხოვრება გარდამავალ პერიოდში”, რომელიც ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ იქნა ჩატარებული, ვხვდებით სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც

გვიჩვენებს რეგინის ახალგაზრდების დისკრიმინაციულ გამოცდილებას. რესპონდენტებს სთხოვეს გახსენებინათ დისკრიმინაციული ფაქტები, რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, ერთ-ერთი იყო, სწორედ ჩვენთვის საინტერესო, რეგიონული წარმომავლობა. ამ მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა მხოლოდ 1% ამბობს, რომ ხშირად ჰქონიათ ამის გამოცდილება, 2%-მა დააააფიქსირა, რომ ზოგჯერ ხდება ასეთი შემთხვევები, 4 პროცენტი ამბობს, რომ იშვიათია, ხოლო დიდი უმრავლესობა – 92 % – ამბობს, რომ არასდროს ჰქონია მსგავსი შემთხვევა (ომანიძე,გაჩეჩილაძე,ლებანიძე, ჩაჩანიძე. 2017). ჩვენს კვლევაშიც თითქმის ანალოგიური შედეგი მივიღეთ, რადგან რესპონდენტთა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ არ ჰქონიათ დისკრიმინაციული გამოცდილება წარმომავლობის გამო.

6. ურთიერთობა ლექტორებთან

ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას, სტუდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ ჰქონიათ ლექტორებთან ურთიერთობის პრობლემა და არც რაიმე სპეციფიკური დამოკიდებულება უგვრძნიათ მათი მხრიდან, კუთხური წარმომავლობის გამო. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანს ახსენდება შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა გარკვეული სახის გამორჩევას, რასაც უმრავლესობა პოზიტიურად აღიქვამს და არ აკავშირებს დისკრიმინაციასთან. რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ ლექტორებმა კუთხური წარმომავლობის გამო ამა თუ იმ სტუდენტს გარკვეული შეღავათი გაუწია და მეტი ყურადღება გამოიჩინა მათთან.

სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ უნახავთ ლექტორები რომლებიც ძირითადად მხოლოდ ხუმრობით აღნიშნავენ ხოლმე სტუდენტთან მის კავშირს, კუთხურ წარმომავლობასთან, გვართან თუ სხვა მახასიათებელთან. ეს კი ძირითადად წასახალისებელ ხასიათს ატარებს.

„ლექტორი გვყავს, გურული კაცი და როცა სია ამოიკითხა და ვიღაც გურული დაინახა ძალიან გაუხარდა, გამოიყვანა, რაღაც მოეფერა (იცინის). ყველას ეგრე გვესაუბრება, მაგრამ ის რაღაც განსაკუთრებულად მოეწონა და როცა გამოდის ხოლმე ყოველთვის, ან ხუმრობით ეუბნება ან რაღაცას ეტყვის ხოლმე ისეთს... კი არ ასხვავებს სხვა ბავშვებისგან, მაგრამ მაინც რაღაც უფრო თბილი დამოკიდებულება აქვს“ (მზიკო).

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ლექტორების მხრიდან ასეთი გამორჩევა არ უკავშირდება სტუდენტების არაობიექტურად შეფასებასა და სხვა საკითხებს. უმრავლეს შემთხვევაში ლექტორებს უბრალოდ ემოციურად ეტყობათ სიხარული. ეს კი იმით აიხსნება, რომ მათ ახარებთ ის ფაქტი, რომ მათი კუთხის წარმომადგენელი ასეთი წარმატებული ან აქტიურია. „მეგრელებთან ესეთი დამოკიდებულება აქვს, ისეთი გაბრწყინებული სახით გიყურებს, როცა მეგრული გვარი გაქვს“ (ნინო). „ერთი გურული ლექტორი მყავდა და სულ მეუბნებოდა ჩემი გურული ბაღანაო, ეს არ ასახულა ქულებზე, უბრალოდ თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობდი'' (გვანცა).

პედაგოგები, რომლებიც სახლისა და სკოლის კულტურებს შორის ხიდის როლს ასრულებენ, ეხმარებიან, სტუდენტებს სოციალური ინტეგრაციაში. მსგავსი სიტუაციაა ახსნილი ნაშრომში „ემოციური უსაფრთხოება მასწავლებლებთან და ბავშვების სტრესის რეაქტიულობა“ (Emotional security with teachers and children's stress reactivity, 2003). აქ საუბარია, რომ მასწავლებლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ თითოეული სტუდენტის ცხოვრებაში. ისინი მათ უზიარებენ საკუთარ ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ხშირშემთხვევაში, ეხმარებიან სწორი გადაყწვეტილების მიღებაში. თავის მხრივ, სტუდენტები, რომლებიც გრძნობენ ახლო და მხარდამჭერ ურთიერთობას მასწავლებლებისგან, არიან მოტივირებულნი, რომ იმუშაონ უფრო და უფრო მეტი. ისინი ამჟღავნებენ შეუპოვრობას სირთულეების პირისპირ, იღებენ მასწავლებლების მითითებებს და კრიტიკას, უფრო უკეთესად

უმკლავდებიან სტრესს და უფრო ყურადღებით არიან მასწავლებლებთან ურთიერთობისას (Little & Kobak, 2003).

რამდენიმე სტუდენტი ძირითადად უარყოფით გამოცდილებაზეც ამახვილებს ყურადღებას. ერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ კუთხური წარმომავლობის გამო ერთ–ერთმა ლექტორმა სხვა სტუდენტს უფრო მაღალი შეფასება დაუწერა, როცა არ ეკუთვნოდა ის. „მეგრელს მაქსიმალური ქულა დაუწერა, მაგრამ მართლა არ ეკუთვნოდა. მეგრულადაც საუბრობდნენ სხვათაშორის და სარჩელი განიხილეს მეგრულად“ (რაფიელი).

საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ განუცდია ლექტორების მხრიდან რაიმე სპეციფიკური დამოკიდებულება. მხოლოდ ერთმა აღნიშნა, რომ მისი წარმომავლობის გამო ლექტორი თბილად მიმართავდა. ორი სტუდენტი იხსენებს შედარებით არასასიამოვნო შემთხვევებს ლექტორის მხრიდან რამაც, მათში პროტესტის გრძნობა გამოიწვია. დანარჩენები კი ამბობენ, რომ ქონიათ შემთხვევები როდესაც ლექტორი გამოარჩევდა სტუდენტს თუნდაც კუთხური წარმომავლობის მიხედვით, მაგრამ ეს მათთვის პოზიტიურად აღიქმება, რადგან დისკრიმინაციას არ აქვს ადგილი.

7. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები

სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრისასყურადღება გამახვილდა ძირითადად ტექნიკურ საკითხებზე, რაც უკავშირდება საგნების არჩევას, გადარჩევასა თუ ჩასმას. ეს ზოგიერთმა დაუკავშირა არასაკმარის ან არაპროფესიონალ კადრებს უნივერსიტეტში. ასევე, უმრავლესობამ აღნიშნა ინფრასტრუქტურული მოუწესრიგებლობის პრობლემა.

აღინიშნ, ისიც, რომ თუ სტუდენტი იმყოფება რეგიონში საგნების არჩევის პერიოდში, იქ არსებულმა პრობლემებმა, როგორიცაა ინტერნეტი, ელექტროენერგია და სხვა,

შესაძლოა ხელი შეუშალოს მას ამ პროცესში, მაგრამ ამ ყველაფერს არ ითვალისწინებენ და საგნებს მაინც არ უსვამენ. „ასე რომ მოხდეს დავრჩები საგნების გარეშე, არ ჩაგისვამენ, ვერ გააგებინებ. სხვა ალტერნატიული ვარიანტიც უნდა არსებობდეს, რომ გაითვალისწინონ“(მზიკო).

რომ შევაჯამოთ, სტუდენტების უმრავლესობას აქვს საგნების არჩევისა და ინფრასტრუქტურის პრობლემა უნივერსიტეტში. ამბობენ რომ მათი მოლოდინები ამ კუთხით არ გამართლდა, რადგან უკეთესად ორგანიზებულ და მოწესრიგებულ გარემოს ელოდნენ.

ჩვენი აზრით, ინფრასტრუქტურული პრობლემები, ყველა თსუ-ს სტუდენტსა და ლექტორს განუცდია, რადგან მართლაც მოუწესრიგებელია აუდიტორიები და კორპუსები. ეს არა მხოლოდ რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების, არამედ ყველას პრობლემაა. ამის მთავარ მიზეზად კი ყოველთვის სახელდება უნივერსიტეტის არასაკმარისი ფინანსები.

დასკვნა

ჩვენი კვლევა ეხებოდა თბილისში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტების ინტეგრაციის გამოცდილებას. ასევე გვაინტერესებდა რამდენად ეგუებიან ისინი ახალ გარემოს, როგორ უწყობენ ფეხს ქალაქურ ცხოვრებას, აქვთ თუ არა რაიმე პრობლემები თანატოლებთან ან ლექტორებთან ურთიერთობისას.

მონაწილეების თქმით, მათ არ აქვთ პრობლემები ინტეგრაციასთან, კარგი ურთიერთობა აქვთ ლექტორებთან და თანატოლებთან, მიაჩნიათ, რომ პროვინციალიზმის პრობლემა გადალახა საზოგადოებამ და ამიტომ უფრო კომფორტულად გრძნობენ სოციუმში თავს და არ უჭირთ, აღიქვან თავი მის წევრად. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი სოციალიზაციისა და ჩართულობის ხარისხი სოციუმში საგრძნობლად გაიზარდა, რაც მეტყველებს ღია და გახსნილი საზოგადოების

არსებობაზე.რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი საზოგადოებამ ისეთები უნდა მიიღოს, როგორებიც არიან და დიდი ცვლილებები არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ თავი საზოგადოების სრულყოფილ წევრად იგრძნონ. ასევე აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თანატოლთა წრესა და მეგობრებს, რადგან ისინი ყოველთვის მათ გვერდით არიან და ძალიან ეხმარებიან სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში. მათი უმრავლესობა კი მეგობრებს საერთო ინტერესებისა და ღირებულებების მიხედვით პოულობს.

საბოლოოდ ზოგად ტენდენციაზე თუ ვისაუბრებთ, რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები დედაქალაქთან ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვან პრობლემეს არ განიცდიან. პირიქით, ეს მათზე ხშირ შემთხვევში, პოზიტიურად აისახება, რადგან ხდებიან უფრო დამოუკიდებლები და სწავლობენ, თუ როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ობოლაძე, ნ. (2016). გაზეთი ,,თბილისის უნივერსიტეტი", ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/eGdc8vhT*;* ბოლო ნახვა- 14დეკემბერი 2017წ
2. ომანიძე,ს.გაჩეჩილაძე,ნ. ლებანიძე,ა. ჩაჩანიძე,ს. (2017). *თაობა გარდამავალ პერიოდში,ახალგაზრდობის კვლევა 2016- საქართველო.* თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი
3. სულუხია, თ. (2001). *დასავლეთის ქვეყნების ურბანსოციოლოგია* (თავი მე–5). თბილისი: მერიდიანი
4. *ქეცბაია, კ . (2016). სოციოლოგია ყველასათვის,.* თბილისი:უნივერსალი
5. Fang L,.Sun R.C.F,. Yuen M. (2014). *Acculturation, Economic Stress, Social Relationships and School Satisfaction Among Migrant Children in Urban China:* Springer Science+Business Media Dordrecht*:*
6. Little, M., Kobak, R., (2003). *Emotional security with teachers and children's stress reactivity.* New York: Routledge
7. Ward C., Bochner S,. Furhanm A,. (2001). *The Psychology of Culture Shock* .Second Edition,. Published by Routlege